საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 9 19 00560445

04/03/2019

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
ქალბატონ **თეონა ახალაშვილს**

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2019 წლის 28 თებერვლის N60-01190592228 წერილის (სამსახურში რეგისტრაციის თარიღი 28.02.2019; N 529452) პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სპეციალისტების მიერ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57-ე დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განხილული იქნა ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N73 (ს/კ 01.18.06.019.110) ასაშენებელი მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული დაპროექტების დოკუმენტაცია, სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის ნაწილში.

წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტაციის განხილვის შედეგებით დადგინდა, რომ ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N73 (ს/კ 01.18.06.019.110) ასაშენებელი მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებულ დაპროექტების დოკუმენტაციაში არ იქნა გათვალისწინებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2019 წლის 10 იანვრის N MIA 2 19 00058211 წერილში აღნიშნული ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ 2019 წლის 10 იანვრის N MIA 2 19 00058211 წერილის შესაბამისად, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შენობის პროექტში სათანადო ცვლილებების და დამატებების შეტანა, ხოლო კორექტირებული სამშენებლო დოკუმენტაცია, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაციასთან ერთად, წარმოდგენილი იქნეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შემდგომი განხილვისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის თაობაზე სათანადო დასკვნის მოსამზადებლად.

გათვალისწინებული უნდა იქნას ის გარემოება, რომ იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება წერილში აღნიშნული შენიშვნა-წინადადებების თანახმად, დაპროექტების დოკუმენტაციაში

საქართველო, 0114, თბილისი, ინგოროყვას ქ. № 7
ტელ: (+995 032) 2 28 78 40
ელ.ფოსტა: cepgeorgia@mia.gov.ge

№ 7, Ingorokva str. Tbilisi 0114, Georgia
Tel/Fax: (+995 032) 2 28 78 40
E-mail: cepgeorgia@mia.gov.ge

შესაბამისი ცვლილებების შეტანა, როგორც წესი შეფერხდება არქიტექტურული პროექტის განხილვის პროცედურა და სამშენებლო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის ნაწილში დასკვნის მომზადება.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
ვარშანიძე როინ

